

ინფორმაცია

ევროპის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების კავშირის (EUROSAI-ს)
ფარგლებში შექმნილი
გარემოსდაცვითი აუდიტის სამუშაო ჯგუფის (EUROSAI WEGA-ს)
ქსოფიაში მე-7 ყოველწლიური შეხვედრის შესახებ

2009 წლის 6-8 ოქტომბერს **EUROSAI WEGA-ს** თავმჯდომარისა და ბულგარეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის მასპინძლობით ქსოფიაში (ბულგარეთი) გაიმართა **EUROSAI WEGA-ს** მე-7 ყოველწლიური შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრას საქართველოს კონტროლის პალატიდან ესწრებოდნენ იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მამუკა მათიაშვილი და აუდიტორი მიაა მუჯირიშვილი. საგულისხმოა, რომ აღნიშნული შეხვედრის პარალელურად, 2009 წლის 5 ოქტომბერს, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ბიოსაფრთხოების აუდიტის საკითხებთან დაკავშირებით“.

ბულგარეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის ჩათვლით, შეხვედრაში მონაწილეობდა 27 ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტი (SAI), ასევე, ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA), WWF-ისა და ევროპის აუდიტორთა სასამართლოს (ECA-ს) წარმომადგენლები.

2009 წლის 5 ოქტომბერს ჩატარებული ტრენინგის ძირითადი საკითხი იყო ბიოსაფრთხობა და ნიადაგის გამოფიტვა (გადაგვარება), მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები. მსოფლიოში მოსახლეობის ზრდისა და ეკონომიკის გლობალიზაციიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტები გაკეთდა ენერჯო რესურსებთან დაკავშირებულ მზარდ მოთხოვნებზე და აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოში მიმდინარე ძლიერ უარყოფით ცვლილებებზე, რომლებიც უშუალოდ შეეხება ჰაერის, წყლისა და ნიადაგის მდგომარეობას, მათ დაბინძურებასა და საბოლოო ჯამში -ბიოსაფრთხობას. ტრენინგზე ყველაზე აქტუალური საკითხი აღმოჩნდა ბიოლოგიური საფრთხეების პრევენცია, ასევე, რეაბილიტაცია. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მიზნით, რიგი ქვეყნების (ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, ნიდერლანდები და ა.შ.) უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტები გარემოს დაცვის აუდიტის ფარგლებში ახორციელებენ ბიოსაფრთხობის აუდიტს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ტყის, ზღვის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და ეკოსისტემების აუდიტს. ამ მიმართულებებით ხორციელდება ასევე ერთობლივი (კოორდინირებული, კოოპერატიული) აუდიტებიც. აღნიშნული აუდიტების მიზანია, გაკეთდეს არსებული მდგომარეობის შეფასება და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

EUROSAI WEGA-ს მე-7 ყოველწლიურ შეხვედრაზე მოხსენებები წარმოდგენილი იყო ძირითადად ქვემოთ მოყვანილი სამი საკითხის გარშემო:

1. წყლის მენეჯმენტი და ევროპის წყლის ინფრასტრუქტურის დირექტივა;
2. აუდიტის განხორციელების პროცესში გარე ექსპერტების გამოყენება;
3. ევროპის გარემოსდაცვითი სამომავლო გამოწვევები.

პირველ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს და პრეზენტაციები წარმოადგინეს ბულგარეთის, ნორვეგიის, საფრანგეთის, მალტის, უკრაინის, რუსეთისა და სლოვენის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების, ასევე, ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA), ევროგაერთიანების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციისა და WWF-ის წარმომადგენლებმა.

პრეზენტაციებში ძირითადად განიხილებოდა წყლის რესურსების როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი მდგომარეობა (სტრუქტურა) ევროპაში. პარალელურად განხილულ იქნა გარემოს დაცვის აუდიტის მიმდინარე და მოსალოდნელი მიღწევები, ასევე, ერთობლივი აუდიტის ჩატარების პერსპექტივები, შესაძლებლობები და დადებითი მხარეები.

განსაკუთრებული აქცენტები დაისვა წყლის ეფექტიან გამოყენებასა და დანაკარგებთან დაკავშირებით, რომელზეც საინტერესო მოხსენებით წარსდგა WWF-ის წარმომადგენელი სერგეი მოროზი. მის მონაცემებზე დაყრდნობით, წყლის დანაკარგებისა და ეფექტიანი გამოყენების ევროპის საშუალო მაჩვენებელი შეფასებულია, როგორც „ცუდი“. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა ამ მხრივ სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაშია. მის ძირითად მიზეზად დასახელდა არაადეკვატური საკანონმდებლო ბაზა და აქედან გამომდინარე, არაეფექტიანი წყლის მენეჯმენტი.

მეორე საკითხის გარშემო დაგროვილი გამოცდილება წარადგინეს ნიდერლანდების, ბულგარეთის, პოლონეთისა და საფრანგეთის უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების წარმომადგენლებმა. მოხსენებები შეეხებოდა გარემოს დაცვის აუდიტში გარე ექსპერტების გამოყენების შესაძლებლობას. აღინიშნა, რომ მათი გამოყენების გადაწყვეტილება მიიღება მოსალოდნელი სარგებლისა და დანახარჯების ანალიზის საფუძველზე. ნიდერლანდების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის წარმომადგენლის მოხსენების თანახმად, ყველაზე ხშირად გარემოს დაცვის აუდიტში გარე ექსპერტების სახით გვევლინებიან ეკოლოგები.

ტრენინგების თემატიკაში ასევე აქცენტები გაკეთდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა, მონაცემების მოპოვება და სრულყოფილი მონაცემთა ბაზების არსებობა. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო აუდიტის მეთოდოლოგიებს. განსაკუთრებით, ერთობლივი აუდიტების ჩატარების პროცესში. აღინიშნა, რომ მეთოდოლოგიებში განსხვავებებმა, შესაძლოა, აუდიტის შედეგებში მისცეს სხვაობები, ამიტომ გაცემული რეკომენდაციების თანახმად, აუდიტები მსგავსი მეთოდოლოგიებით უნდა განხორციელდეს. ასევე დიდი ყურადღება მიექცა სრულყოფილი მონაცემების არსებობის აუცილებლობასაც. აღინიშნა, რომ ამ უკანასკნელის გარეშე ობიექტურ აუდიტორულ დასკვნაზე საუბარი ზედმეტი უნდა იყოს.

1 შეფასების სისტემა: კარგი, ზომიერი, ცუდი და ძალიან ცუდი

საგულისხმოა, რომ შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმო ერთობლივი (ეოპერაციული) აუდიტის ჩატარების საკითხებს და სწორედ ამ პრობლემატიკის უკეთ გააზრების მიზნით შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში საქართველოს წარმომადგენლებიც შედიოდნენ. აღნიშნული ჯგუფების შექმნის მიზანი იყო ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გადრმავება. ცნობილია, რომ უკრაინის საანგარიშო პალატის ხელმძღვანელობით, 2010 წლისათვის დაგეგმილია ერთობლივი აუდიტის განხორციელება შავი ზღვის ქვეყნების მონაწილეობით, რომლის აუცილებლობაც წარმოიშვა შავი ზღვის დაბინძურების მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესების გამო. აღსანიშნავია, რომ კერძო საუბარში უკრაინის საანგარიშო პალატის წარმომადგენლმა, მარია შულეჩკომ აღნიშნა, რომ მათ უკვე გამოგზავნილი აქვთ მოწვევის წერილი საქართველოში და ურთიერთობების შემდგომი განვითარების დასახქარებლად დახმარება ითხოვა.

საგულისხმოა, რომ წინადადებები ერთობლივი აუდიტის შესაძლო ჩატარების თაობაზე, თურქეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისის წარმომადგენლის ბურაკ ქოროგლუს მხრიდანაც წამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ქართული მხარის დახმარების მიზნით გარკვეული შემოთავაზებები წარმოადგინეს ესტონეთის წარმომადგენლებმაც.

საინტერესო იყო მესამე საკითხთან დაკავშირებით გამართული პრეზენტაცია, რომელზეც წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია გარემოს სამომავლო ცვლილებებისა და გამოწვევების შესახებ, თუ როგორ აპირებს განვითარების ამ ეტაპზე კაცობრიობა შეებრძოლოს გარემოს ცვლილებებს განვითარებული ტექნოლოგიებით.

შეხვედრის მიმდინარეობისას მონაწილეები გაეცნენ EUROSAI-ს გარემოს დაცვის აუდიტის სამუშაო ჯგუფის, როგორც მიმდინარე პერიოდის საქმიანობის შედეგებს, ასევე, სამუშაო გეგმასა და პროექტებს, რომლის განხორციელება გათვალისწინებულია 2010-2011 წლებისთვის.

საინტერესო მდიდარი ევროპული გამოცდილების გაზიარება – აუდიტის პროცესში უკიდურესად მნიშვნელოვანია, სწორი მეთოდოლოგიის, ზუსტ მონაცემთა ბაზებისა და კომპეტენტური ექსპერტების ყოლა, ხოლო ერთობლივი აუდიტის შემთხვევაში, აუცილებელია კოორდინირებული და მსგავსი პარამეტრებით მოქმედება. მნიშვნელოვანია, რომ ევროპული ქვეყნები გარემოს დაცვითი აუდიტის ჩატარებისას იყენებენ კომპლექსური კვლევის მეთოდოლოგიას და რეკომენდაციებს გასცემენ დაწყებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (CAP2-ის) დამთავრებული ქიმიური და სხვა მძიმე მრეწველობის პოლიტიკის ფარგლებში, გარემოს დამაბინძურებელი რისკების შემცირებისა და აღკვეთის თაობაზეც.

2 Common Agricultural Policy

3 იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში მოწმდება არაორგანული სასუქების, პესტიციდების დონე და წილი მიწაში, გრუნტის წყლებში, ზღვაში ...